

ჩემი გაზეთი

ბალდათის მუნიციპალიტეტი, ა. (ა.) ი. ვ. ხელოვნებისა და ხალხურის განვითარების ცენტრი

ბეჟან წაქაძე: კარგად ვიცნობ ჩემს რეგიონს და ამ არსებულ პრობლემებს



ბეჟან წაქაძე დაიბადა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ სვირში 1960 წელს. მუშაობდა უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ დაიწყო – თავიდან მცირე ბიზნესით, დღეს კი რამდენიმე მსხვილი კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორია. „ჩემი გაზეთის“ გუნდი ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბალდათის მაჟორიტარ-დეპუტატს ბატონ ბეჟანს მისი გეგმებისა და მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ ესაუბრა.

– რამდენიმე თვეა, რაც არჩეული ხართ ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბალდათის მაჟორიტარ-დეპუტატად. გვიამბეთ, თქვენს განვლილ ცხოვრებაზე მაჟორიტარ-დეპუტატობამდე. აქამდე თუ ყოფილხ-

აუცილებელია, ინვესტორმა წარადგინოს გეგმა: რის გაკეთებას აპირებს, რამდენ მოქალაქეს დაასაქმებს და ასე შემდეგ. მოსახლეობა უნდა დასაქმდეს თავიანთ მუნიციპალიტეტში. სწორედ ამიტომ კეთდება ინფრასტრუქტურული პროექტები, დიდი ყურადღება ექცევა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მოსახლეობისთვის მიწოდებას. თუ ამის მოგვარებას შევძლებთ, სოფლებიდან მიგრაციის პრობლემები აღარ გვექნება.

– მოგიყვებით, რა სირთულეები იყო ბალდათის მუნიციპალიტეტში. რამდენად ხშირად ახერხებთ მოსახლეობასთან შეხვედრას და ძირითადად რა პრობლემებია გამოკვეთილი?

– თავად ხშირად ვერ ვახერხებ მოსახლეობასთან შეხვედრას, თუმცა დეპუტატის ბიური ოთხივე მუნიციპალიტეტში აქტიურად მუშაობს და მოქალაქეებს ყოველდღიურ რეჟიმში იღებს. მოსახლეობის მხრიდან ყველაზე მეტი მომართვიანობა უმუშევრობისა და ჯანდაცვის მიმართულებით გვაქვს. მათ ყველა განცხადებას შესაბამის პასუხს ვცემთ. ბევრი პრობლემა გადაგვინყვებია, ბევრი კი ჩვენს ძალეებს აღემატება. მოქალაქეებს ვაძლევთ შესაბამის რეკომენდაციებს.

– გვესაუბრეთ, თქვენი და ბალდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

– ჩემი, როგორც მაჟორიტარი-დეპუტატის უფლებაა ადგილობრივ თვითმმართველობას გარკვეული რეკომენდაციები მივცე. მათგან მოვისმინო ინფორმაცია მიმდინარე პროექტებზე, სიახლეებსა და მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობაზე. გავუზიაროთ ერთმანეთს ბალდათის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

– როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ინიციატივითა და დაფინანსებით დაიწყო ონლაინ-ტრენინგები მენარმეთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. გვიამბეთ ამ პროგრამის შესახებ.

– ჩემი ამოცანაა სოციალური პრობლემების გაუმჯობესება და განათლების სისტემაზე ზრუნვა. ბიზნესის განვითარებას დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ადამიანები გათვითცნობიერებული უნდა იყვნენ რა პროცესები მიმდინარეობს, რა საკითხებია განსახილველი, როგორ ხდება ბიზნესის დაწყება და რა ეტაპების გავლა ამისთვის საჭირო. წინასწარჩვენო კამპანიის დროს ჩვენი ერთ-ერთი დაპირება იყო ამ მიმართულებით ტრენინგების ჩატარება. მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო ტრენინგები დისტანციურ რეჟიმში დაიწყო. პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია, მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები. მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ დიდი დაინტერესება იყო და ვგეგმავთ ტრენინგ-კურსები კიდევ გავაგრძელოთ.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– დეპუტატმა, რომელსაც გამოცდილება აქვს ბიზნესის სფეროში, პარლამენტში მოსახლეობისთვის საჭირო ინიციატივები და რეკომენდაციები უნდა წარადგინოს. კარგად ვიცნობ ჩემს რეგიონსა და აქ არსებულ პრობლემებს. ჩემი მუშაობის პრინციპი და სამომავლო გეგმა შემდეგში მდომარეობს – მსურს, მოსახლეობას ისეთი გარემო და პირობები შევუქმნა, რომ მათ ადვილად შეძლოთ თვითრეალიზაცია და საკუთარ ქვეყანაში უზრუნველყოფილად ცხოვრება.

ანა ძორიძე

რევაზ ლალიძე - 100

კანადემიისგან თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრება

რევაზ ლალიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ორდღიანი ღონისძიება, ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 128 წლისთავი - ეს ფინალური აკორდია იმ ღონისძიებების, რომლებიც რეგულაციების მოხსნის შემდეგ ბალდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა ჩაატარა. გამორჩეული და მასშტაბური, ცხადია, გენიალური ქართველი კომპოზიტორის, ბალდათის მკვიდრის რევაზ ლალიძის საუკუნოვანი იუბილე იყო.


მანამდე კი იყო მძიმე 2020 წელი. „ჩემი გაზეთის“ გუნდი გასულ და მიმდინარე წელს განუვლ საქმიანობაზე სასაუბროდ ბალდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს ბატონ ვალერი კვინიხიძეს ესაუბრა.

ბატონმა ვალერიმ გულისტკივლით აღნიშნა წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების პანდემიის გამო გაუქმება.

2020 წელი აქტიურად დაიწყო, მაგრამ პანდემიის გამო კულტურის სფეროში მკაცრი შეზღუდვები დაწესდა: აკრძალა მუსიკალური ღონისძიებები, სპექტაკლები და კონცერტები. რეგულაციების გამოცხადებამდე რამდენიმე ღონისძიება გაიმართა: საბავშვო მუსიკალურმა თეატრმა „ირიდამ“

2020 წლის 1 იანვარს მაყურებელს წარუდგინა საახალწლო მუსიკალური სპექტაკლი - „ახალი წლის თავგადასავალი“; 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, ჩვენმა სახალხო თეატრმა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის, „ჩანჩურას“ პრემიერა წარმოადგინა; ბალდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა მწერალ ცირა ყურაშვილის შემოქმედებითი საღამო, ბიბლიოთეკის ახალი წიგნების გამოფენა და კომპოზიტორ ნუკრი კარკაძის ახალი სიმღერებისა და კლიპების პრეზენტაცია; ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში აღინიშნა პოეტის დაბადებიდან 127 წლის იუბილე და გაიმართა „ჩვენი კვარტეტის“ კონცერტი. 23 სექტემბერს, რევაზ ლალიძის მშობლიურ სახლში, სოფელ ოზნაში გაიმართა საღამო „ჯადოსნური ღამე ლევან შენგელიასთან ერთად“. ბალდათის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „თეატრალური იმერეთი 2020“ და მაყურებელს სპექტაკლი „ჩანჩურა“ წარუდგინა. ფესტივალის ფარგლებში ჩვენი თეატრის მსახიობს ბატონ მელიტონ ჯაფარიძეს „ამაგდარის“ წოდება მიენიჭა.

2021 წელს რეგულაციების შემსუბუქე-



ბასთან ერთად კულტურის სამსახურმა აქტიურად დაიწყო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება. 9 აპრილს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმში ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა. თოჯინების თეატრმა აღადგინა სპექტაკლი „ბატის ჭყვი“; 24 ივნისს სახალხო თეატრმა ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი 2021“ ოთარ ბალათურის პიესის მიხედვით დადგმული ახალი სპექტაკლი

„მეფე ლირი თავშესაფარში“ წარადგინა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟისორმა ავთანდილ სახამბერიძემ ბევრ მოყვარულ მსახიობს მისცა საშუალება თავისი სამსახიობო შესაძლებლობები წარმოეჩინათ, სპექტაკლში 20 მოყვარული მსახიობი იყო დაკავებული. დაჯილდოების ცერემონიაზე კი ჩვენი თეატრის გამოცდილი მსახიობი

გაბრიელა მკ-2 გვ.

რევალუციური - 100 კანდიდიანი თავეთი შედეგები ცხოვრება

დასასრული



ეთერ დევიძე გამოარჩიეს, რომელსაც ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის სიგელი გადაეცა.

2021 წლის 10 ივლისს გენიური ქართველი კომპოზიტორის რევალუციური 100 წლის იუბილეს ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი ორდღიანი ღონისძიებით გამოემართა. 9 ივლისს კომპოზიტორის სახელობის კულტურის ცენტრში, საქართველოს პარტიის კურთხევით დაარსებული საერთაშორისო სააღდგომო მე-16 ფესტივალის „აღდგომამდე“ ფარგლებში, კლასიკური მუსიკის საღამოზე კომპოზიტორის ნაწარმოებები შესრულდა.

ბაღდათს ეწვია ფესტივალის საპატიო სამხატვრო მრჩეველი, ამერიკაში მცხოვრები ცნობილი პიანისტი და ბოსტონის „New England Conservatory“-ს პროფესორი ალექსანდრე კორსანტია, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მასწავლებელი დეპუტატი ბატონი ბეჟან ნაქაძე. საიუბილეო საღამოში მონაწილეობა მიიღო ქ. ქუთაისის ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა რევალუციური ჯაზიანის დირიჟორობით. ასევე ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის გუნდმა, ცნობილმა ბარიტონმა გორა აბულაძემ და ახალგაზრდა პიანისტმა გიორგი ებანოიძემ. ღონისძიების დასასრულს მსოფლიო ისტორიული ფაქტის მონაწილეობა მიიღო დაარსებულიყო ყოველწლიური ფესტივალი – „ლალიძე-კახიძე“. სიმბოლურად შეიქმნა ფესტივალის დაარსების დოკუმენტი, სადაც პირველი ხელმოწერა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგასაძემ დააფიქსირა. 10 ივლისს კი კულტურის ცენტრის მიმდებარე, გალამაზებულ სკვერში რევალუციური ბიუსტი გაიხსნა, ღონისძიება ვ. მაიაკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმში გაგრძელდა – კონცერტში მონაწილეობდა ლეგენდარული ანსამბლი „ქართული ხმები“.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი 19 ივლისს, ტრადიციულად, ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიებით გამოემართა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 128 წლის იუბილეს. ბაღდათის ცენტრალურ ბილიოთეკაში 2021 წელს რამდენიმე ღონისძიება გაიმართა: მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო, ზურაბ თოლორაძის ნიგნის „ჩვენი ბაღდათი“ პრეზენტაცია, ამერიკელი მწერლის ჰერმან პერიშის ინგლისურენოვანი საბავშვო ნიგნების პრეზენტაცია და 3 ბუმბერაზი ქართველის – ნოდარ დუმბაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ვაჟა-ფშაველას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო.

ა.ა.ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები პანდემიის გამო ქვეყანაში დაწესებული რეგულაციების სრული დაცვით ტარდება. ცენტრის ხელმძღვანელობა ცდილობს, შესაძლებლობების ფარგლებში, ფეხი აუწყოს კულტურისა და ხელოვნების სფეროში მიმდინარე სახსრებისა და გამოწვევებს.

აზა მახანავიძე

დამსახურებული ამირან მასნავლებელი!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისთვის მათემატიკის პედაგოგს ამირან გრძელიძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭა. ჯილდო ბატონ ამირანს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგასაძემ გადასცა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ჯილდოზე ამირან გრძელიძის კანდიდატურა მისი ნახევარსაუკუნოვანი, ღირსეული პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და სოფელ დიშის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ შეთავაზა.

ამირან გრძელიძეს 51-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის ისტორია აქვს.

წლების განმავლობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლაში ეწეოდა როგორც პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე იყო რამდენიმე სკოლის ხელმძღვანელი. 2019 წელს ბატონმა ამირანმა ისარგებლა სახელმწიფოს მიერ პენსიონერ მასწავლებლებზე შეთავაზებული ჯილდოთი და ასპარეზი დაუთმო ახალგაზრდა კოლეგებს. ამჟამად ის მუშაობს მათემატიკის სახელმძღვანელოებზე – მათემატიკით დაინტერესებული ფართო სპექტრის მომხმარებლისათვის მოამზადა და გამოსცა სახელმძღვანელო „საჯილდო მათემატიკა“, გამოსაცემად მზად აქვს მეორე ნიგნიც.

„ჩემი გაზეთი“ ბატონ ამირანს ულოცავს დამსახურებული ჯილდოს მიღებას და წარმატებებს უსურვებს მას!

მარიამ ქოროჭელიძე



ნიჭიერი თავე

შოპენის და ბეთჰოვენის ძილისპირულით აღმერებული გურამ ხურცილაძე

რუბრიკა „ნიჭიერი თავე“ ისევ აქტიურად ეძებს გამორჩეულ, მიზანდასახულ, ნიჭიერ და შემოქმედებით მოზარდებს. ივლისის ნომერს სტუმრობს საოცრად ქარიზმატული, მიზანდასახული, სიმპათიური და გონიერი ბიჭი – გურამიკო ხურცილაძე. ის 2013 წლის 14 აპრილს დაიბადა. ნიჭიერი ბიჭი ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეა. მოზარდი პატარაობიდანვე ამჟღავნებდა კლასიკური მუსიკისადმი დიდ სიყვარულს. მისი თქმით, ძილისწინ აუცილებლად უნდა მოისმინოს შოპენი ან ბეთჰოვენი. ოჯახიდან მხოლოდ ბებია ფიქრობდა, რომ გურამიკოს საბავშვო სფეროში დიდი წარმატება ელოდა. გურამიკოს პირველი ნაბიჯი სცენაზე სკოლაში შესვლის პირველ დღეებს უკავშირდება. ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი აბუხანდაძემ დიდი სიხარულით დართო ნება პირველკლასელ ბიჭუნას ემღერა. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მსმენელის მონონებამ გურამიკოს ბებია კიდევ უფრო დააჯერა მომავალი მომღერლის წარმატებაში, ამიტომ უკვე კომპეტენტურ ადამიანს, ბატონ ნუკრი კარკაძეს მიმართა. პედაგოგმა აღფრთოვანება ვერ დამალა პატარა მუსიკოსის მიმართ და სულ მალე სიმღერაც დაუწერა – „ახალი უნდა დავწერო სიტყვა“. აქედან დაიწყო მოყვარული მუსიკოსის სერიოზული დაინტერესება სიმღერით და აქტიურად შეუდგა მეცადინეობას. ბატონმა ნუკრიმ გურამიკო წარუდგინა ქალაქ ქუთაისში მოღვაწე მუსიკოსს, ქალბატონ ნანა იაშანიძეს. მოზარდმა ქალბატონი ნანას ყურადღებაც მაშინვე დაიმსახურა და კიდევ ერთი სიმღერა „ჩემი მიზნები“ დაიბადა. ბიჭმა ექსტრენად ჩააბარა ქუთაისის მედიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში და დღემდე განაგრძობს სწავლას.



აპრილში გურამიკომ იტალიის საერთაშორისო კონკურსზე „Liberta creativa“ მიიღო მონაწილეობა, რომელშიც 38 ქვეყანა მონაწილეობდა. სპეციალურად ამ კონკურსისთვის ახალი სიმღერა შეიქმნა – „ქართული რონდო“, ტექსტიც და მუსიკაც ნუკრი კარკაძემ დაწერა. გურამიკომ ასევე შეასრულა კოტტრაუ – „სანტა ლუცია“. პატარა მომღერალმა დიდი მონონება დაიმსახურა და საპრიზო მეორე ადგილიც მიიღო.

მიზანდასახულმა და შრომისმოყვარე მოზარდმა მასში კიდევ ერთ, ბულგარეთის საერთაშორისო კონკურსში „მსოფლიოს ვარსკვლავი გაზაფხული 2021“ მიიღო მონაწილეობა და აქაც საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

პატარა მომღერალი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. სკოლის საგნებიდან განსაკუთრებით მათემატიკა და ხატვა უყვარს, სწავლობს ქართულ ნაციონალურ ცეკვებს.

გურამიკო სამომავლოდ ამერიკაში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას გეგმავს. მას მიზანდ აქვს დასახული გამარჯვება, ამისთვის თავდაუზოგავად შრომობს. მან ამის მიზეზიც გაგვიხილა – დედა და მამა უკვე ორი წელია ამერიკაში ცხოვრობენ, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კი მათთან წასვლის შანსი მიეცემა.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი პატარა მომღერალს სანუკვარი ოცნებების ასრულებასა და კიდევ მრავალი წარმატების მიღწევას უსურვებს ცხოვრების ფართო ასპარეზზე.

აზა მახანავიძე

პედაგოგის პოეზია - შემოდგომის ნოქტიურნი

პროზა და პოეზია ერის სულიერი საზრდოა. შემოქმედება ალბათ სიტყვა „შემოქმედიდან“ მოდის, რადგან ლამაზად ნათქვამს, ლამაზად დაწერილს უდიდესი მაკურნებელი ძალა აქვს. დიდი ბედნიერება იყო იმ ადამიანის გვერდით, ვინც კალმით იღწვის, ვინც სიტყვით გვიღამაზებს თანამედროვეობას და მომავალ თაობას უტოვებს ისტორიას ჩვენს ყოფაზე. „ჩემი გაზეთი“ მკითხველს ჩვენი დროის ბაღდათელი პოეტს, თამარ მამისიევილის გააცნობს. თამარი ახლახან საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი გახდა. ის 1980 წლის 15 ოქტომბერს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში პედაგოგების ოჯახში დაიბადა – ოჯახში, სადაც ნიგნიერების, ხელოვნებისა და ადამიანების უდიდესი სიყვარული სუფევდა. თამარის თქმით, ალბათ ამან განაპირობა, რომ მომავალ პროფესიად უარესად ჰუმანური და საპასუხისმგებლო საქმე, მასწავლებლობა აირჩია.

1998 წელს ვარციხის საჯარო სკოლა დაამთავრა და სწავლა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გააგრძელა, რომლის დასრულების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა მშობლიურ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო.

პედაგოგიური საქმიანობის გარდა აქტიურად ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, წერს ლექსებს. მისი შემოქმედება ხშირად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, არის „საზოგადოება ქუთაისელის“ წევრი. მონაწილეობს ქუთაისის მწერალთა სახლის მიერ განხორციელებულ შემოქმედებით საღამოებსა და ღონისძიებებში. 2019 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „შემოდგომის ნოქტიურნი“.

ახალგაზრდა შემოქმედს უყვარს ბუნება. ბუნებაში განმარტობა, გარდა სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების განცდისა, უამრავ საინტერესო მასალას აწვდის მის წარმოსახვასა და შთაგონებას.

თამარი ემზადება მეორე ნიგნის გამოსაცემად. სურს, მისი სულის ამოძახილი, ნაფიქრალ-ნააზრევი და თვალთ დახატული სამყარო ლექსებით მიანდინოს მკითხველს.

ჩვენ გვეამაყება თამარ მამისიევილის არსებობა და გვახარებს მისი წარმატება.

აზა მახანავიძე

გთავაზობთ მისი შემოქმედებიდან მცირე ექსკურსს.

არაგვი

ვიდრე ზამთარი დადგება,
ჭიუხებს თეთრად დაათოვს,
გზად ნისლებს ავემგზავრები
არაგვთან სამასლაათოდ.
მომისმენს, ამოიხრებს,
არაგვს ჯავრი აქვს თავისა,
ამბავი ვერ გაუგია
შეყვარებული ქალისა.

ბაღდათი

წელში მოხრილხარ, ბალახო,
გამოფიტულხარ ავდრებით,
ისევ მინაში მიცოცავ,
თანდათან პატარავდები.
ჩვენი ისიცოცხლის გზა-სავალს,
დრო რომ უღმობლად გამოხრავს,
ჩვენ სულ მინაში დავრჩებით,
შენ კი ყოველ წელს ამოხვალ.

ეს წერილი ეროვნული ბიბლიოთეკის ჟურნალ - „საქართველოს ბიბლიოთეკა“ - დაიბეჭდა და მასში ბალდათის ბიბლიოთეკების წარსულსა და დღევანდლობაზე მოთხრობილი ვფიქრობთ, „ჩვენი გაზეთის“ მკითხველთათვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული და ამიტომაც გთავაზობთ მის შემოკლებულ ვარიანტს.

ცუდი ამბის კარგი დასასრული! ბალდათის მუნიციპალიტეტის 7 სოფელში განახლებული ბიბლიოთეკები

ბევრჯერ წაკითხული წიგნის კიდევ ერთხელ გადაკითხვას ჰგავს ჩვენი ამბავი – ბალდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანების დღევანდელ ყოფაზე მოგახსენებთ და რადგან ყველა ამბავს აქვს დასაწყისი, თხრობაც დასაწყისიდან დაიწყო.

2007 წლამდე ქ. ბალდათში და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ფუნქციონირებდა 15 ბიბლიოთეკა, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მთელს ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, ბიბლიოთეკების უმრავლესობა გაუქმდა და 15-დან მხოლოდ სამმა ბიბლიოთეკამ (ქ. ბალდათის ჯ. ლენინის სახელობის ცენტრალური, სოფლების, დიმიასა და ფერსათის ბიბლიოთეკები) განაგრძო საქმიანობა, არადა, გაუქმებული „წიგნის სახლები“ და მიტოვებული წიგნები, დღემდე ელოდნენ მკითხველთან დაბრუნებას.

2015 წლიდან დაიწყო პროექტი „დავუბრუნოთ სოფელს ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად ისახავდა გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას და მათი მუშაობის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებას, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას, ინტერნეტიზაციას და წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნას. პროექტის – დავუბრუნოთ სოფელს ბიბლიოთეკა – განხორციელებაში დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

პირველი ნაბიჯები 2015 წლის შემოდგომაზე გადაიდგა, როცა ბალდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართა ძალისხმევით ორი თვის მანძილზე მოვახერხეთ სოფლების ბიბლიოთეკებში და მოსახლეობაში მიმოფანტული წიგნადი ფონდის აღრიცხვა-დახარისხება. ამ მოსამზადებელ, საძირკველჩაყრილ საქმეს შემდეგი ნაბიჯები მოჰყვა – ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო – და ჩვენც სოფლის ბიბლიოთეკების მოსახლეობა და იქ არსებული მდგომარეობის გასაცნობად საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ოთხქალაქიან დელეგაცია ვისტუმრეთ ბიბლიო-ტურზე: „ბალდათის წიგნის გზა“ – ოზრა, დიმი, როკითი-დიდველა, ვარციხე, როხი, ნითელხევი, ფერსათი, ბალდათი. ამ ვიზიტისას გადაწყდა და მალევე ბეჭედიც დაესვა, რომ მოქმედი, ჯანსუღ ლენინის სახელობის ბალდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა და სოფლების, დიმიასა და ფერსათის ბიბლიოთეკები საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები გახდებოდნენ, ხოლო დანარჩენ სოფლებში ბიბლიოსახლების აღდგენის შემდეგ ისინი ჩაერთვებოდნენ პროექტში – „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“.

სოფლებში ბიბლიოთეკების მეორედ დაბადება, მათთვის სახელის დარქმევა (იურიდიული სტატუსის მიწიჭება) ადგილობრივი თვითმმართველობის, მერიისა და საკრებულოს პრეროგატივაა, ბალდათის მუნიციპალიტეტის „აღმასრულებელმა“ და „საკანონმდებლო“ ხელისუფალმა „წიგნის გზას“ არ გადაუხვიეს, ბიბლიოთეკართა გარჯას ფასი არ დაუკარგეს, წიგნის და კითხვის მოყვარულთა სურვილი გაითვალისწინეს, მეტიც, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საბიბლიოთეკო ასოციაციასთან თანამშრომლობა გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს და, თამამად შეიძლება ითქვას, 2018 წლის აპრილში „საეტაპო“ შეხვედრაც შედგა – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა 2007 წელს დახურული ბიბლიოთეკების მონახულების შემდეგ საქმიანი და საინტერესო შეხვედრა გამართეს ბალდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

2018 წლის 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე ბალდათის მუნიციპალიტეტშიც საკადრისად აღნიშნა, მრავალფეროვანი ღონისძიებების აკორდი კი სოფლებში, ნითელხევისა და პირველ ოზრაში ბიბლიოთეკების გახსნა იყო. ნითელხევი სამკითხველოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის, „დიდების“ ავტორის, ნითელხევის მკვიდრის, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის სახელი ეწოდა.

მალევე, პროექტის – „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში – ნითელხევისა და ოზრის ახლადაღდგენილ ბიბლიოთეკებს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცი-



ციამ საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი, მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი) გადასცა და ინტერნეტით უზრუნველყო. ამიერიდან, თანამედროვე ინტერნეტმომსახურებების გარდა, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ადგილობრივი თემისთვის ბევრად მეტი სერვისების მიწოდება. ბიბლიოთეკა სოფლისთვის ერთგვარი საინფორმაციო ცენტრი გახდა.

2020 წელს ბალდათის საბიბლიოთეკო გაერთიანებას კიდევ ორი აღდგენილი ბიბლიოთეკა შეემატა – სოფელ მეორე ოზრაში და მალაღმთან სოფელ ზეგანში. პანდემიის მიუხედავად, ახალგახსნილი ბიბლიოთეკები რეგულაციების სრული დაცვით ემსახურებიან მკითხველს და ახლა უკვე კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტითაც მოემსახურებიან დაინტერესებულთ.

ამ საქმეში ამაჯგირად დაგვეხმარა – „საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგია“ და პოლონური ორგანიზაცია „PCPM – პოლონური საერთაშორისო დახმარების ცენტრი“. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტს – „მალაღმთან რეგიონებში სათემო ბიბლიოთეკების დახმარება პანდემიის პირობებში ონლაინ სერვისების გასაზრდელად“ და მათმა ტექნიკოსებმა უკვე დაამონტაჟეს კომპიუტერები ზეგანსა და მეორე ოზრაში.

ახალ გამოწვევებთან სათანადოდ გასამკლავებლად ერთ წრეზე ტრიალი რომ არაფრის მომტანია, ამას ბევრი ფიცი-მტიცი არ სჭირდება და ამიტომაც წიგნადი ფონდის განახლებასთან ერთად, ბიბლიოთეკარები ცოდნა-უნარების „გაახლებასაც“ არ ერიდებიან, ამის დასტურია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარებისთვის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მიერ ჩატარებული სამდღიანი ტრენინგი თემაზე – „ახალი საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკებში“. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ბიბლიოთეკა და ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ბიბლიოთეკაში და მისი მხარდაჭერა; მომხმარებელთა საჭიროებების მენეჯმენტი; როგორ ჩავატაროთ ტრენინგი; ბიბლიოთეკარის სამუშაო რეჟიმის შეცვლა თანამედროვეობაში. ახალ საბიბლიოთეკო სერვისებსა (მომხმარებლების საჭიროებების შესწავლა, ახალი სერვისების შექმნა და მომხმარებლებში რეკლამირება, აქტივობა – პერსონების 4 ტიპი) და მინი – ლექცია „ეფექტური პრეზენტაციის“ შესახებ.

„სათემო მობილიზაცია ბიბლიოთეკების გავლით“.

პანდემიის გამო საბიბლიოთეკო ცხოვრება კარგა ხნის მანძილზე შეჩერებული კი იყო, თუმცა ახალი წიგნებით ბალდათის ბიბლიოსახლის განახლება მაინც შევძელით საქართველოს წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის დახმარებით – სექტემბრის 450-ლარიან სასაჩუქრე ვაუჩერს, ნოემბერში 700-ლარიანი ვაუჩერი მოყვა და წიგნებმა, რომლებიც მკითხველთა მოთხოვნის გათვალისწინებით შეირჩა, უკვე ცენტრალურ და სოფლის ბიბლიოთეკებში დაიდეს ბინა.

სწორედ კოვიდ-პანდემიამ „დამანაწავ“ იმაში, რომ ბიბლიოთეკების სისხლსავსე ცხოვრება დროებით მიწადა. ცხოვრება ხშირი სტუმრიანობით – მკითხველთა შეხვედრებით პოპულარულ მწერლებთან და პოეტებთან, საიუბილეო თარიღების ორიგინალურად, თეატრალურად აღნიშვნა, ტრადიციად დამკვიდრებული პირველკლასელთა პირველი მოგზაურობა წიგნის სამყაროში, ფოტოკონკურსი „წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკა“, „კინოს დღე“, ახალგაზრდა მხატვრების ნახატების გამოფენა... თუმცა, ცხოვრება არ დასრულებულა, სანამ გაქვს კარგი ამბავი და გყავს ადამიანი, რომელსაც მოუყვები ამ ამბავს. ჰოდა, მაქვს კარგი ამბავი და თქვენ გეტყვით ამ ამბავს – მარტში კიდევ ერთი ბიბლიოთეკა გაცოცხლდება, ამაჯგირად როკით-დიდველაში!

სოსო კოტორიჯივილი

დასაწყისი „ჩემი გაზეთი“ №2 (48)

მარნიან ღვინის ქარხანა

ვარციხის ღვინის ქარხანა იმთავითვე მრავალდარგობრივი იყო. აქ სხვადასხვა სახეობის პროდუქციასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა საკონიაკე სპირტის გამომცემს და დაძველებას. ვარციხის ღვინის ქარხნის ღვინომასალიდან გამომდინარე სპირტების ბაზაზე კონიაკის სპეციალისტებმა ვახტანგ ციციშვილმა შექმნა კონიაკი „ვარციხე“. კონიაკის სპირტის გამომცემად გამოიწვია წარმოების ზრდა, აშენდა სპირტის სახდელი საამქრო.

კონიაკისა და სარეექტიფიკაციო სპირტის გამოსახდელი საამქრო ერთ-ერთი მძლავრი უბანი იყო ქარხანაში. საამქრო წლიურად აწარმოებდა 15-18 ათას დეკალიტრ კონიაკის სპირტს, რისთვისაც იხდებოდა 18-20 ათასი დეკალიტრი უწყლო სპირტი ქაჭისაგან, ეს მეტად შრომატევადი საქმე იყო, ამიტომაც ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა ახალი ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო, რომელსაც უნარჩანად ხელმძღვანელობდა მეღვინე-ტექნოლოგი ოთარ კიკვაძე.

ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი კონიაკი „ვარციხე“ არამარტო ვარციხელთა, არამედ მთელი მაიკოვსკის სიამაყე იყო, რომლის წარმოებისთვის საუკეთესო ვაზის ჯიშა ცოლიკაური, რომელიც გამოირჩევა საუცხოო გემოთი და სასიამოვნო არომატით. კონიაკ „ვარციხე“-ში ჰარმონიულად არის შეხამებული ამ ყურძნის ღვინოების ყველა კარგი თვისება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვარციხეში არამარტო იხდებოდა საკონიაკე სპირტი, არამედ, აქვე ხდებოდა მისი დაძველებაც. სპირტის დასაძველებლად მინის ზედა საუკეთესო სარდაფი იყო მიჩნეული. ქარხანაში საკონიაკე სპირტის დაძველება 6-7 წლის განმავლობაში ხდებოდა მუხის კასრებში, შემდეგ კი საკუპაჟედ იგზავნებოდა თბილისის კონიაკის ქარხანაში.

კონიაკი „ვარციხის“ წარმოებაში თავის დროზე გარკვეული წვლილი მიუძღვით ქარხნის დირექტორს ირაკლი გოგიბერიძეს, მთავარ ინჟინერს, დამსახურებულ მეღვინე-ტექნოლოგს ალექსანდრე ჯიხორიას, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსნებს, მეღვინე-ტექნოლოგებს: ლევან ნიქორიძესა და ქუჯი ზიგზიფაძეს, ტექნოლოგ ანზორ ძონენიძეს.

შუში ნაკაშიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბალდათის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბალდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ჯუანბერ გეგეშიძე,
აზა მაშანიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორი“